კვირა

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

კვირა, ენკენისთვის 29

1918 წელი

№ 3.

ფასი 60 კაპ.

ყოველ-კვირეული გაზეთი „კლდე“ გამოცემა

დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის

მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა

გამოდის **გრიგოლ ვეშაპელის** რედაქციით

გაზეთის ფასი 1918 წლის დამლევამდე 10 მანეთი, ცალკე ნომერი 60 კაპ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

რედაქციის მისამართი: თბილისი იზმაილოვის ქუჩა, № 27, ს. № 3. ტელეფ. № 22.

ელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 11 საათიდან 12 საათამდე. კონტორაში გაბაანთ შესახვევი № 3, შკოლის შესავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები.

გერმანული გაზეთი უკმაყოფილებას გამოსთქვამს მემამულეთა დატუსაღების გამო.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აბრალებს გიორგი ბაგრატიონს და 6 სხვა მემამულე შეარაღებულ რაზმის მოწყობას ღალის მოსაკრეფად ქართლში.

თბილისში ხმები დადის: რომ დატუსაღებულ მემამულეების საქმე მხოლოდ იმაშია, რომ მათ უნდოდათ გერმანელებისათვის მიეყიდნათ მთავრობის ნებართვით, 1917 წლის კუთვნილი მოსავალი.

ფოთში მოსულა **გერმანული ტრანსპორტით** უკრაინიდან 114 ათასი ფუთი ხორბალი, საქართველოს ქალაქთათვის.

ბოლგარიის მთავრობამ **პარტიათა ბლოკთან** შეთანხმებით 25 სექტემბერს წინადადება მისცა მოპირდაპირე **სახელმწიფოებს** დროებითი ზავი ჩამოვაგდოთო.

წერილები.

გრ. ვეშაპელი: სოციალ-დემოკრატია და ჩვენი პარტია.

ვ. წერეთელი: პურის ფასი და აგრარული პოლიტიკა.

შ. ქარუმიძე: სამშობლოს დაცვა და ჩვენი პარტია.

ქართული პრესა: გერმანული პრინცის შესახებ.

„კლდის“ საკვირაო: საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.—საქართველოს დროშა და სასახლე.—სოფლის მრეწველობის კრიზისი.—არა. დი მილოვი და გ. ყურული.

ჩვენი პარტიის თანამოაზრეთ: გაზეთ „საქართველოს“ საპასუხოდ.

Épine: პარტიის ფოკუსნიკები.

ბ. გამსახურდია: რევოლუცია იყო თუ ანარქია

რიხტერის წიგნიდან: სოციალისტური რესპუბლიკა.

განდეგილი: „რამეთუ შენ ხარ კლდე“.

მიწის მეურნეობის კრიზისი: მიხეილ ერისთავის მამული.

საჩხერის ოსთა საკითხი.

მიწის მესაკუთრეთა კავშირის: წერილი რედაქციის მიმართ.

სოციალ-დემოკრატია და ჩვენი პარტია

(პასუხად ბ-ნ დ. ონიაშვილს).

გაზეთ „ერთობაში“ ბ-ნ დ. ონიაშვილის წერილებია დაბეჭდილი „ნაციონალ-დემოკრატების ბანაკში განხეთქილებას“ გამო. ბ. დ. ონიაშვილის სიტყვით ჩვენი პარტიის გაყოფას „დიდი პრინციპიალური ხასიათი ჰქონია“ და ალბად ამიტომაც იგი ასე გულმოდგინეთ შინჯავს „კლდის“ საპროგრამო წერილებს,—უნდა ამით გამოარკვიოს თავისი პარტიის ტაქტიკა დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატების მიმართ.

ბ-ნ ონიაშვილს აუღია ჩვენი წერილის ის ალაგი, სადაც ეროვნულ პარტიის მოქმედებაზე ასე ვწერდით: „თავისუფალ სახელმწიფოებში პარტიები სხვა და სხვა კლასთა რეალურ ინტერესებზე არიან ნაშენები. სხვანაირია უსახელმწიფო ერთა პარტიული საქმიანობა; იქ, სადაც ეროვნული სახელმწიფო არ არის, მის მაგიერობას ეროვნული პარტია ეწევა.

ბ-ნ ონიაშვილს აუღია ეს ალაგი, როგორც ცენტრალური და მაგრად გვისაყვედურებს: „გ. ვეშაპელს სახელმწიფო ისე აქვს წარმოდგენილი, როგორც საშუალო საუკუნის ბერებს ან და ჩვენი დროის სოფელელ კაცს; ჯერ რომ ჰკითხო, თუ რა არის სახელმწიფო, მის გონებაში უეცრივ გამოიხატება უზარმაზარი ტლანქი არსება მთელი თავისი იძულებითი აპარატით. მას ხან გვირგვინი ადგია თავზე, ხან წითელი ბაირაღი უჭირავს ხელში, მაგრამ როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში სახელმწიფო მის თვალში უძრავი და გაყინული კერპია“... მეორე წერილში ბ. ონიაშვილი კიდევ შემდეგს სუბიექტიურს დახასიათებას გვიძღვნის: გ. ვეშაპელი „კერპთ-თაყვანისმცემელია და მას უფეტიშოთ ცხოვრება არ შეუძლია. ბ-ნ ვეშაპელის ერთი უდიდესი კერპი არის ეროვნული სახელმწიფოო“.

ასეთივე მხატვრული სურათები რომ გვეწერა, მაშინ ის უნდა გვეთქვა, რომ ბ-ნ ონიაშვილს სახელმწიფო ისე მსუბუქად ჰქონია წარმოდგენილი, როგორც ფლამარიონის რომანების მეორმოცე საუკუნის რესპუბლიკის ქალ-ბიჭ მ ქალაქს, რომელიც ხორცის მაგიერ ელექტრონის აბებს მიირთმევს და რომელიც ახლანდებურად რომ სული შეუბერო—იმ წამს ჰაერში აფრინდება... ან და კიდევ ბ-ნ ონიაშვილს სახელმწიფო ისე აქვს წარმოდგენილი, როგორც ჩვენი დროის ქართველ ჭეშმარიტ სოციალისტებს, რომელნიც ისეთს იდეალური დემოკრატიულ რესპუბლიკანური სახელმწიფოს აშენებენ საქართველოში, რომელიც ბ-ნ ნოე ჟორდანიას თქმით—„ჯერ არსად და არავის უნახავს!“

რაც შეეხება სახელმწიფოს გლეხურ წარმოდგენას ეს ჩვენ სათაკილოდ სრულებით არ მიგვაჩნია: აზნაურობის მაძიებელი ჩემს გლეხურ გვარში არვინ ყოფილა; მთავარი საქმე კი ის არის, რომ დემოკრატიული სწორედ ისე უნდა აშენდეს, რომ იგი ეგუებოდეს ხალხის უმრავლესობის,—გლეხთა მოთხოვნილებას; ერთი მუჭა თბილისის დეპუტატ ტრამვაის ინტერნაციონალური გუნებით კონსტიტუციის შედგენა, ეს კომუნისტური დიქტატურა იქნება, რომელსაც ჩვენი გლეხობა ადრე თუ გვიან მაინც დაახრჩობს. თავის დროზედ კარლ მარდოხი (მარქსის ნამდვილი ებრაული გვარი მარდოხაი იყო) ასე ახასიათებდა გლეხობის მონარქიულ თვისებას: გლეხები თავის ინტერესთა დამცველად მხოლოდ ისეთ ავტორიტეტს მიიჩნევენ, „რომელიც აღჭურვილი იქნება უსაზღვრო ძალაუფლებით, დაიცავს მათ ყველა სხვა კლასებისაგან და უგზავნის მათ ზევიდან წვიმასაც და მზესაც“... ამას წინად, პარტიულ რეფერატში, საქართველოს დიქტატორი ბ. ნ. ჟორდანია იგონებდა მარდოხაის სიტყვებს და თან უმატებდა: „საქართველოში რესპუბლიკას და რევოლიუციას შეიძლება მოელოდეს შიგნიდან ერთად ერთი საფრთხე—გლეხებისაგან. ამ საფრთხის ნიშნები უკვე არის“... და მთელი ლექცია მოანდომა იმას, რომ ეკონომიურად და პოლიტიკურად გამოერკვია, თუ რატომ არის, რომ „გლეხობა, რომელიც ვითომც და რევოლიუციის უმთავრეს მამოძრავებელ ძალად არის მოწოდებული, ასამარებს მას?“..

ჯერ არ შეიძლება იმისი პასუხი, დაასამარებს თუ არა ქართველი გლეხი რევოლიუციას და რესპ ბლიკას, მაგრამ იმის თქმა დანამდვილებით შეიძლება, რომ თუ ქართველი გლეხი მართლა დაასამარებს რესპუბლიკას, ამისი ბრალი ის იქნება, რომ ქართველი გლეხი ვერ იწამებს ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც აშენებს ჩვენი სოციალ დემოკრატია: ქართველი გლეხი ვერ შეეგუება არსად ნახულ ულტრა დემოკრატიულ და ულტრა-რესპუბლიკანურ წეს-წყობილებას, რომელსაც არა ჰყავს „სახელმწიფოს თავი“, პრეზიდენტი, რომელიც იქნება მოსილი უმაღლესი აღმასრულებელი ხელმწიფებით, რომელსაც აქვს უფლება კანონთა სანქციისა, დამტკიცების და მაშასადამე უფლება კონტროლისა „პარლამენტის“ კონვენტურ—რევოლიუციურ კანონმდებლობაში.

საქართველოს ევროპის კულტურული ხალხები კი არა, აზიის ურდოები ჰყავს მეზობლად და ამიტომ ქართულ სახელმწიფოს უფრო მაგარი „თავი“ უნდა, ვიდრე შვეიცარიის ფედერაციას., ისეთი „თავი“ რომელსაც პრეზიდენტური ძალა-უფლება აქვს მინიჭებული არა პარლამენტისაგან, არამედ ხალხის ვოტუმით და რომელიც მარტო დეკორატიული წარმომადგენელი კი არ არის სახელმწიფოსი, არამედ ნამდვილი მმართველიც; ისეა იმ სახელმწიფოში, რომელსაც ჩვენსავერ ურდოების წალგკვა ემუქრებოდა: ისეა ამერიკის შტატები, სადაც პრეზიდენტის ხელში მთელია აღმასრულებელი ძალა, სადაც მინისტრებს პარლამენტი კი არ არჩევს, თვით პრეზიდენტი და მინისტრებიც ამიტომ მხოლოდ მის წინაშე არიან პასუხისმგებელნი, სადაც პრეზიდენტი იმავე დროს ჯარის მთავარსარდალიც არის და სადაც ომის დროს პრეზიდენტის უფლება მეფის უფლებას ემგზავსება...

ვისაც სწამს ეროვნული სახელმწიფო, იმას სხვანაირად არ შეუძლია შეხედოს საქართველოს მომავალს: ბ-ნ ონიაშვილის სიტყვები, რომ ვიხმაროთ სწორედ „ტლანქი, იძულებითი არსება“ არის საჭირო, რომ დღევანდელ საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიური ანარქია მოსპოს ულმობელი ხელით, მოაწყოს რეგულიარული ჯარი და მისცეს ქვეყანას რეგულიარული მართვა-გამგეობა და კონსტიტუცია; ასე იყო თავის დროზედ ბოლგარიაში...

ეროვნულ სახელმწიფოს მოწყობისათვის სხვა გზა არ არის და თუ ჩვენ მეთაურ პარტიას და მთავრობას არა სწამთ ქართული ეროვნული სახელმწიფოს ხანგრძლივობა და იძულებით სტეპენიან ერთ და იმავე ალაგს თავიანთი სახელმწიფოებრივი მოქმედებით; თუ ჩვენი სოციალ-დემოკრატები სულ განაბულნი ელიან რუსეთში ბოლშევიკურ მთავრობის დაცემას, რომ ,,ეს ,,ეგ მთავრობას, თუნდაც ალექსეევისთანა მემარჯვენეს, მოურიგდენ, და „დავით აღმაშენებელის“ როლის თამაშით დღღალულნი ძველ რუსულ „ავტონომიას“ ჩაეხუტონ გულში“ დაე მაშინ პირდაპირ სთქვან ეს ბ-ნ გეგეჭკორისა და ირ. წერეთლის მიმდევართ.

ჩვენ კი, ნაციონალისტებს, გვწამს ეროვნული სახელმწიფო, რადგან ქართველი ერის უმრავლესობის მესაკუთრე გლეხთა ინტერესები მოითხოვენ ეროვნულ სახელმწიფოს არსებობას და განვითარებას, მხოლოდ მაშინ უზრუნველყოფს ჩვენი გლეხი თავის მიწას და მამულს უცხოელების კონკურენციისაგან; ასევე ითქმის მეურნე თავად-აზნაურთა აგრარულ ინტერესებზე; ასევე ითქმის ეროვნულ კაპიტალით მომქმედ ვაჭარ მრეწველთა პროტექციონულ ინტერესებზე—ამიტომ ვამბობთ ჩვენ, განმეორებით, რომ ეროვნული პარტია უნდა დაეყრდნოს ყველა იმ კლასებს, რომელთა ინტერესი ეგუება საკუთარი სახელმწიფოს არსებობას; ეროვნულმა პარტიამ უნდა შეაკავშიროს ეს კლასები საკომპრომისო ეკონომიური პროგრამით, შექმნას ამით ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეეძლება ჩამოართვას მართვა-გამგეობის უფლება სოციალ-დემოკრატიას, როგორც მთავრობაში, ისე პარლამენტში და შეუდგეს ქართულ სახელმწიფოს მოწყობას სწორედ იმ პოლიტიკით, რომელსაც მოითხოვს ჩვენი ნაციონალისტების, არა სოციალისტების პროგრამა.

მხოლოდ მაშინ, როცა დასრულდება და დაგვირგვინდება სახელწიფო შენობა, მხოლოდ მაშინ იქნება გასამართლებელი ჩამოყალიბებული კლასიური პარტიების დაარსება; თორემ დღესვე გერმანიასავით საქართველოში პროლეტარულ სოციალ-დემოკრატიის გარდა ცალკე ბურჟუაზიულ-ლიბერალური და ცალკე აგრარულ-კონსერვატორები პარტიები რომ მოეწყოს, ეს სახელმწიფოს შენობას კი არა, მხოლოდ გაკოტრებული სოციალ-დემოკრატის პარტიულ ბიუჯეტის გამოსწორებას შეუწყობს ხელს...

ეს უნდა გვეთქვა პოლიტიკის შესახებ; რაც შეეხება ჩვენს ეკონომიურს პლატფორმას, განსაკუთრებით მიწის საკითხის მოგვარებას კომპრომისული, სახელმწიფოებრივი გზით, ამის პასუხი (თუნდაც იმავე „სოფლელი კაცის, გლეხის“ წარმოდგენით) ცალკე იყოს.

გრიგოლ ვეშაპელი.

პურის ფასი და აგრარული პოლიტიკა.

პურის ფასი სხვათა შორის სავაჭრო ბალანსზეა დამოკიდებული.

როდესაც სავაჭრო ბალანსი ცალმხრივია და ჩვენთვის სასარგებლო არ არის, ქაღალდის ფულის კურსიც დაცემულია და მაშინ, როგორც ყველაფერი, ისე პურიც ძვირია.

ბევრი პურიც რომ შემოვიტანოთ რუსეთიდან და უკრაინიდან, თუ კი სამაგიეროს ვერაფერს გავიტანთ, სავაჭრო ბალანსი ჩვენდა არასასარგებლოდ გადიხრება, ფულის ფასი დაეცემა და პური მაინც არ გაიაფდება.

წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ საკუთარი ფული (ვალიუტა) გვაქვს, იმისდა მიუხედავად, რომ ვაჭრობა ჩვენს რესპუბლიკასა და უცხოეთს შორის ქაღალდის ფულით სწარმოებს, ბოლოს და ბოლოს ჩვენი ქაღალდის ფულის პატრონები ჩვენი ხაზინიდან ოქროს მოსთხოვენ. და ოქროს გორებიც რომ იქნეს დაწყობილი ჩვენს ხაზინაში, ოქრო თათდათან გავა უცხოეთში, თუ კი იმაზე მეტს ვიყიდით უცხოეთიდან, რასაც უცხოელები ჩვენგან იყიდიან.

მაშასადამე ქაღალდის ფულის კურსის გამოსასწორებლად საჭიროა: 1) იმდენი ღირებულების საქონელი ვიყიდოთ უცხოეთში, რომ მისი ეკვივალენტის მიყიდვა შევსძლოთ და 2) განვავითაროთ მინაური წარმოება, რომ, რაც შეიძლება ნაკლები საქონლის შემოტანა დაგვჭირდეს უცხოეთიდან. უმთავრესი ყურადღება, უეჭველია, პურისა და სიმინდის მოყვანას უნდა მივაქციოთ. ჩვენი ქვეყანა ნაყოფიერია და მდიდარია მთებიდან დაქანებულ წყლებით. მაშასადამე ამ წყლების გამანაყოფიერებელი ძალა უნდა მოვიხმაროთ.

მორწყვევით იმერეთი და სამეგრელო რიონიდან, ყვირილიდან, ცხენის წყლიდან, ტეხურიდან და სხვა პატარა მდინარეებიდან გაყვანილი არხების საშუალებით—და იმერეთ-სამეგრელოში იმდენი სიმინდი მოვა ყოველ წელს, რომ ხუთ წელს შეინახავს საქართველოს.

ამ ვარადვე შეიძლება ქართლ-კახეთის ველების მორწყვა.

მადლობა ღმერთს, საქართველოში წელს კარგი მოსავალი იყო. რა გვეშველება, გაისს რომ გვალვები დაიჭიროს და მოუსავლობა იქნეს? ხომ შიმშილით ამოვწყდებით?

რა გააკეთა ჩვენმა მთავრობამ ამ მხრით? სრულიად არაფერი.

ამიერ-კავკასიის მიწის დეკრეტმა მთლად მოსპო, სადაც კი უმაღლესი საეურნეო კულტურა გვქონვა მაშასადამე საქართველო ველარ გაგზავნის უცხოეთში უმაღლესი ხარისხის ხილსა და ღვინოს, შვეიცარულ ყველს, თაფლსა და სხ. მაშ რით, რა საშუალებით შეგვიძლია ვიყიდოთ უცხოელთაგან მოხუთი და ნავთი, მანქანები და სამანუფაქტურო ნაწარმოები? დიაღ, შვიდ დესეტინიანმა მიწის ნორმამ სავაჭრო ბალანსი უცხოეთის სასარგებლოდ გადახარა, ჩვენი ქვეყანა გააღარიბა და ჩვენი ქაღალდის ფულის ნიშნებს ყოველივე ღირებულება დაუკარგა.

იმავე დეკრეტის ძალით ქართველ მემამულეებს შავიქვის მიდნები ჩამოართვეს და კაპიტალისტთა ერთს ჯგუფს ჩაუგდეს ხელში, შავი ქვის მუშაობა მონოპოლიური წესით იწარმოებს და მაშასადამე მრეწველობის ეს დარგი ველარ განვითარდება. ამგვარად, ხსენებულმა მიწის დეკრეტმა შავი ქვის მრეწველობა ერთის დაკვრით მოჰკლა და მით სავაჭრო ბალანსი ჩვენდა საზიანოდ გადახარა.

ადგანაც უცხოეთიდან სამანუფაქტურო ნაწარმოები ალარ შემოდის, სოფლებმა თვითონ მიჰყვეს ხელი შალის, ხამსისა და სხ. კეთებას. შეუწყო თუ არა მთავრობამ ხელი შინაური ხელსაქმის განვითარებასა და მით სავაჭრო ბალანსის ჩვენდა სასარგებლოდ გადმოხრას? რასაკვირველია, არა.

იმავე დროს მთავრობამ ღღემდის ვერც ბიუჯეტი შეადგინა და ვერც ქართული ფული შექმნა და ჩვენი ვაჭრობა რუსული ფულის ცვალებადს კურსზეა დამოკიდებული. ეს კიდევ უფრო აძვირებს ყოველგვარ საქონელსა და სხვათა შორის პურსაც.

მაშასადამე პურის, როგორც ყველა სხვა საქონლის, გაიაფებისათვის საამშენებლო მუშაობაა საჭირო.

ჩვენი მთავრობა კი, როგორც რევოლიუციისა და ანარქიის მიერ წარმოშობილი, მხოლოდ ანგრევს, ნანგრევებზე არაფერს აშენებს.

ცხადია საამშენებლო მუშაობისათვის სულ სხვა წესი და სხვა მეთოდია საჭირო.

ვასილ წერეთელი.

სამშობლოს დაცვა და ჩვენი პარტია.

მოწინააღმდეგე პარტიებს არა ერთხელ უსაყვედურნიათ ჩვენთვის, რომ ნაციონალ-დემოკრატიული პარტია არ იღებს არავითარ მონაწილეობას ქვეყნის დაცვაში, როგორც გარეშე ძალისაგან ისე შინაური მტრებისაგან—ამბობდენ და ამბობენ ამას სოციალ-დემოკრატები, ამბობენ სოც. ფედერალისტები, ამბობენ ეროვნულ საბჭოში, სწერენ პრესაში.

გავგსაჯოს მომავალმა—ვის რა გაუკეთებია სამშობლოს დაცვისათვის! ისტორია მარტო პარტიული პანეგირისტების და გაზეთის კორესპონდენტის მიერ არ იწერება. სისხლით აღბეჭდილი საქმე ღაღადებს სიმართლეს და ყველას ღირსეულს და დამსახურებულს ხვედრს მიუსჯის. თუ ესწერთ ამ ორიოდე სიტყვას, მხოლოდ ზნეობრივი მოვალეობის გამო იმ პარტიული ამხანაგების წინაშე, რომელნიც ჩუმად, წყნარად სამშობლოს დაცვის დიდს და წმინდა აზრს ატარებენ გულში, მარჯვენას ამოქმედებენ მისთვის და ამ აზრით და ფიქრით ზოგი სამარეს ჩავიდა ბრძოლის ველზე განგმირული, ზოგსაც დღეს მობილიზაციის გამო ეძლევა საშუალება დასტოვოს სპატიო და ღირსეულად შესრულებული მოხალისეობა და კვლავ დაიჭიროს ჩვეულებრივი პოზიცია ცხოვრებაში. იმ თაკიდანვე სამშობლოს დაცვა, დამცველი ძალის მოწყობა სხვა და სხვანაირად გვესმოდა ჩვენ და ჩვენს მოწინააღმ ეგეო. საჭირო იყო თურმე დიდი ეროვნული უბედურობა, ბათუმის, ახალციხის, ახალქალაქის დაკარგვა, უმაგალითო სილაჩრის სირცხვილი, რომ ჭკუა ესწავლათ ჩვენ მოწინააღმდეგეთ და ერთათ ერთ დამცველ, სახელმწიფო ძალათ ჩვენთან ერთათ ეცნოთ რეგულიარული ჯარი, სასტიკ დისციპლინით აღზრდილი, მდგარი გარეშე პოლიტიკისა და პარტიული ფანატიზმისა, რასაც ჩვენ იმთავითვე ვამბობდით და რისთვისაც ჩვენი მოწინააღმდეგენი ჯვარს გვაცვამდენ.

იშლებოდა ჯარი, რუსეთის სალდათს ჩვენი სალდათიც მისდევდა და მასთან ერთად იშლებოდა სახელმწიფო, იხრწნებოდა საზოგადოებრივობა, ირეცხებოდა მოქალაქობრივი შეგნება, ნიავდებოდა სამხედრო ქონება და დოვლათი. ნაციონალიზაცია ჯარისა ვერა შველოდა საქმეს. ყოველივე ცდა, ხშირად გმირული თავდადება საქმისათვის ჩვენი ოფიცრებისა ქარწყლდებოდა მიტინგებისაგან გარყვნილ ჯარის კაცთა თავგასულობაზედ, კომიტეტების უგვანო პრეტორიანობაზედ და სოციალისტური მთავრობის ღრდა სოციალისტურ მოღვაწეობაზედ ისეთ კატეგორიის ორგანიზაციაში, როგორცაა ჯარი—ისე სრული ანტიპოდი ყოველნაირ სოციალისტურ წარმოდგენისა. ვითარება დამაფიქრებელი ხდებოდა. ჩვენი მოწინააღმდეგნი პარტიული რაზმების შედგენის გზას დაადგენ. ჩვენ ჩვენი ახალგაზრდები რეგულიარულ ჯარში მოვიხმეთ. ეგრეთ წოდებული „სამხედრო ბატალიონი“ კაპ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით—პირველი სამხედრო ნაწილი იყო ქართულ ჯარში. სამასზე მეტმა ახალგაზრდამ თითქმის ყველა ნაციონალ დემოკრატმა მოიყარა თავი. მთელი უკულმართობა იმ დროისა მათ მძიმედ განიცადეს თავზე. ძველი სალდათობა, რომელიც მხოლოდ ქონების სა-

ცარცვავათ იყო დარჩენილი, მტრულად უცქეროდა, დელეგაციას დელეგაციაზე, მუქარას—მუქარაზე უგზავნიდენ, დაიშალენით, თოოემ დაგხოცავთო.

მაშინდელმა სოციალისტურმა მთავარ სარდლობამ როგორღაც ეშვის თვალით შეხედა ამ „არა სოციალისტურ“ ჯარს, თანადი მზრუნველობა მოაკლო მას. საცა საქმე უფლებასა და რითიმე მოწყობას შეეხებოდა, იქ ბათალიონს არ სცნობდენ, (ამის საბუთი ამ სტრიქონების დაწერის აქვს) მხოლოდ ყარაულზე, ქონების დაცვა გადმოზიდვაზედ უღვთოთ ამუშავებდენ ბათალიონს. ტფილისის ბევრ ქართველ მოქალაქეს სასიამოვნო მოგონებათ ექნება იმ საერთო აღრევის, სალახანობის დროს ამ ბათალიონის მწყობრი რაზმები ქართული სიმღერით ქალაქის ქუჩებზედ ერის საჩოქალაქო თუ საცხედრო ვალის მოსახდელათ მომავალნი, ნმ. ნინოს დღესასწაულზე დასწრება იქნებოდა ეს, თუ სოლანლუღში გალაშქოება ბოლშევიკების წინააღმდეგ. წითელი გვარდია მაშინ ახლად სდგებოდა და სოლანლუღში მოქმედებდა რამდენიმე ზარაბასი რგებულიაოული არტილერიისა და მათ დაბცველათ ქვეითა ჯარით ეს ბათალიონი იგზავნებოდა ხოლმე. დაარსების სულ ორიოდე თვის თავზე ბაშინდელმა ამიერ-კავკასიის მთავრობამ ეს ბათალიონი ადერბეიჯანში გაგზავნა, ბაქოს ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. ის დრო ჩვენი ეროვნული ცხოვრების უბედური და სამარცხვინო ღღეები გახდ დეს. ჯარი ლაჩრულად ბათუს სტოვებდა. არ გამოდგებდა „ინტერნაციონალისტური პატრიოტიზმი“, ფუჭი გამოდგა გურიის ეხტუზიაზმი, ნ. ჟორდანიას თოფცა (აბბობდენ-ასე წავიდა ფროსტზეო), ნოეს ვინტოვკამ ვერ იშველა ირაკლი მეფის თოფსავით, გეგეჭკორისა და რამიშვილის მინისტრობამ და წერეთლის სიტყვებმა ვერ გვიშველეს, მიტინგებმა, „აბანაგთა“ და კომიტეტთა სარდლობამ თავი მოგვერა. დაიკლა ერი უხეოთ და ულუნურად! აი ამ დროს, როცა ჩვენ ჩვენს ისტორიულ სახეს და ბოლოვარ ღაწვს—სივაჟკაცეს ბური ჩამოუსვეთ—ოოდა თათარი კორპუსის უფროსი გეს. ბიხლინკი—დეპეშა. გენერალი ეუდწერდ ალტაცებას და მადლობას გამოთქვამდა იმ ვაჟკაცობისა და გმირობისათვის, რომელიც ჩვენებს გამოეჩინათ კიურდამირთან ბოლშევიკებთან ბრძოლაში. და ნართლაც მთელი ბვიდი კვირის განმავლობაში ლომებივით ებრძოდა ეს ახალგაზდობა იმ ჯარს, რომელიც აეხობიდენ დაიცვა ბაქო თათრებისაგან. აი ამ ჩვენმა ყმაწვილებმა აუცილებლივ შეიტანეს, ერთი საბჭნიერო ხაი ჩვენი ისტორიის იმ ბნელ ფურცლებში, რომელიც მაშინ დაიწერა. სარიშვილმა და ჩიკოვანმა გმირული სიკვდილი ჰპოვეს ბაკოს უდაბნოებში. უკანასკნელი დაეგლეჯა ბტრის ყუნბარას, მაგრამ ნოუყვეტილი ხელი პულემიოტის ტარზე დარჩენოდა. „თუ რუსებს კვლავ უყრიათ ბესლა ჩვენ სამშობლოში, ბედნიერი ვართ, რომ ვიხოცებით, დაე, გადიგელოს ჩვენი გვამი, ვიდრე ჩვენი თვალი ისილაადეს კვლავ ჩვენს ქვეყანაში ბაგ წუხალებსაო“. ასეთი ყოფილა უკანასკნელი სიტყვები. ნორჩმა ყრმამ ბიკაბემ ოოუამური სიკვდილი მიიღო ბალშეკოა ტყვეობაში. უკვე დაძრული მატარელიდან ჩაოხტა ბოკლულ ამგანაგის ოოფისა და ქუდის ბოსატანათ—რათა ბტეს არ ჩაეარდნოდა ხელში და მატარებელს ვალარ მოასწრო. ასეთი ყოფილა ბეგხება მოვალეობისა ამ ნორჩ გმირში.

ძლიერ სულის კვეთგბას ოდნავათაც ვერ ახდენ ბდა ის უსაბოოლობა, რომელსაც ირეკდა თავრობა და საზოგადოება ამ ყმაწვილების ხიბაზე. სიკვდილის წინაშე ეოა ბეკლა თანასწორი უნდა იყოს, ასე აბბობს ძველი სიბრძნე და მაღალი ზნეობა, მაგრამ ჩვენ იმ უმგვანო დროში ბურმე ვცხოვრობთ, როდესაც შეიძლება ეგოისტური ლოსოფრივი პოლიტიკის ყარიოება არაბც თუ ცოცხლების მიმართ, არაბედ მკვდართა ჩიხაზეც. და ღღეს, როდესაც გბირს ზარავახდეს ვფენთ და პატრიოტიზულის პობბით ვასაფლავებთ გბირს, როდესაც, „კათათვეში არაგვში დაირჩო“, გულის ამღვრევ უსურადღებობით გვაცლ ღეთ გაამეცი სამშობლო სიდ ღებიაკენ. ირ ბბირს კუჭოს მისდეკა ბდეკარგბით ბოლღინე უბედურ ბაკოს სარიკვილისა და ყავარჯენით რამოდენიმე დაბრილი ბბხაგი.

ბაკოს ფრონტიდან დაბრუნებისას ბთალრთი დაახვილეს სხვა და სხვა სამხედრო ნაწილებში და ყმაწვილებმაც ბაბ ჩაიოლიეს ის ძლიერი სამხედრო სულისკვეთება, რომელიც ახასიათებს მათ, სადაც კი არ იენებიან ისინი, ყარაიაზის ველი იენება თუ თელავის ყაზარმები.

ამგვარადვე, პარტიული ფირმის მოხდით სხვა და სხვა საიხვიხერო და საარტილერიო ნაწილებში შედიოდა ჩვენი პარტიის ახალგაზდობა უსმინდესი მოვალეობის მოსახდელად სამშობლოს წინაშე, ერთი მოვლენა უშლიდა ხელს და საერთოთ საქმესა სცარცვდა. ჩვენი მოწინააღმდეგე არ იშლიდა „კომიტეტობას“. ჯარში გაჩნდებოდა თუ არა რამდენიმე კაცი—მაშინადვე არჩევნებს ნიშნავდენენ. ჩვენი პრინციპიალურად მოწინააღმდეგე ახალგაზდობა გვერდს უქცევდა ასეთს საქმიანობას და უსამართლოთ იჩაგრებოდა. მაგრამ დრომ მოშხამა „სიმახინჯენი ჟამისა და კეთილშობილ განწირვასაც“ ნაკლები დაბრკოლებანი ეღობება წინ დღეს. თორემ პარტიული იარლიკის მიცემის „სეთი დიდი სურვილი იყო ხოლმე ზოგიერთ პარტიებისაგან, რომ კურიოზობამდის აღწევდა. საკმარისი იყო რომელიმე ნაწილის კომიტეტში პარტიის კაცი მჯდარიყო, „საქმეზე“ წასვლის დროს ნაწილს კორესპონდენტი გყოლოდა და ნაწილი ინათლებოდა პარტიულად ბევრ საარტილერიო ნაწილებში ჩვენები შესამჩნევ უმრავლესობას წარმოადგენდენ, მაგრამ არსად პარტიულად საკითხი არ დაუყენებიათ. ეს უცილებლივ მათ ჯარისკაცის ღირსებათ ჩაეთვლებათ.

ცხენოსან და ქვეითა ნაწილების უფროსნი იქნებიან მოწმენი თუ რამდენი მისულა ჩვენი რეკომენდაციით და ჩაგონებით და როგორ უმსახურნიათ.

არიან ასეულები, რომელიც განსაკუთრებით ჩვენი პარტიის მიმდევრებისაგან შესდგებიან. მათ იცნობენ—დასახელება მეტია. მართალია ერთნაირი მოღვაწრი მოვლენის ხასიათსაც ადლევდენ ზოგიერთნი, ეწერებოდენ ამა თუ იმ ნაწილში, სწერდენ დიდი ასოებით გაზეთშიც, რომ ეს და ეს მოღვაწე პერსონს ჯარში შევიდეო—მაგრამ ძალიან ცალ იხდიდენ მაზარას და თოფს „კათხას იკიდებდენ, უმაღლესობა და დიდი უმრავლესობა ჩვენი პარტიული ახალგაზდობის კი დღესაც ღირსეულად სდგას თავის პოზიციებზე. მათ საკუთარ თვალით ნახეს ჩვენი შემოჭრილი საზღვრები. იყვენ მონაწილენი უსწორო ბრძოლისა მტერთან, იხილეს ეროვნული სიმტკიცე ჩვენი ხალხის იმ ნაწილისა, რომელიც გეგემონიის პრენტეზიებს აცხადებს ჩვენ აწმყო და ბომაღლზე და გულის ფიცარზე დაიწერეს ის მუქარა, რომელიც ბოზ დული აქვს მტერს ჩვენ ისტორიულ კარებზედ და სტრატეგიულს საზღვრებზე. სწორედ იმ ნაწილებს, სიდაც სჭარბობდენ ჩვენი მიმდევრები ხვდათ წილად გერმანელებისა და ავსტრიის წინაშე აღედგინათ სახელი ქართველი მეომრისა და ბორჩალოთი ქალაქზე მოდგარ მტრისათვის სწორედ კრწანისის ველზე კრწანისის გმირთა ღირსეული შვილების მარჯვენა ეჩვენებინათ და შემდეგ მრავალ რიცხოვან მტერისაგან მთლად განეწმინდათ ძველი ბორჩალო. ამავე ნაწილებმა შემოიარეს მთელი საქართველო დუშეთ—ცხინვალით დაწყობილი—ლეჩხუმით და საჩხერით გათავებული. ნახეს ქვეყანა ულმერთოდ დაწყლულებული და საბედისწერო იარებით მოსილი. ეკუთვნოდა მათ მსოფლმხედველობას არა სამკაპიკანი ბროშურების აზრები ჩაედება დედათ, არაბედ საკუთარი თვალით ნანახი დამაფიქრებელი მძიმე სურათი ჩვენი ქვეყნისა და მათი პატრიოტიზმი, საკუთარი სისხლით ღირსება —აწყული სულ სხვა იქნება და არ ემგვანება მიმავალი თაობის იდეოლოგიის უბედურ სილუეტებს.

შ. ქარუმიძე.

ქართული პრესა.

ზერმანელ პრინცის შესახებ

გაზეთ „ერთობაში“ ბ-ნ ვლ. ახმეტელაშვილი ეხება ქართველ მონარქისტების მუშაობას და ამბობს: როცა გაზეთ „ფორვერსტმა“ საქართველოზე წერილი დაბეჭდა, ბოლოს სთქვა:

„რომ ბურჟუაზიული კლასების ზოგიერთი წრეები და დიდი შემაშფოთებელი სოციალისტური პარტიებისა და სოციალისტური მთავრობის აგრარული და სოციალური კანონმდებლობით კმაყოფილები არ არიან და მონარქიული წყობილებისადმი მისწრაფებას იჩენენო, მაგრამ სოციალ დემოკრატიული და სოციალისტური პარტიები ისე ძლიერები არიან, რომ ადგილობრივი რეაქციონერები თავისი საკუთარი ძალდონით ვერაფერს შესძლებენ, მათი სურვილი ხალხის უმრავლესობის სწინააღმდეგოა.

ხანებულ წერილში გარდა ამისა, იყო ზოგიერთი სუბიექტიური ელემენტები შეტანილი, ამიტომ მე ეიძულებული გავხდი საქართველოს შესახებ სპეციალური წერილი მოვამზადებინა.

ვისაც კი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისათვის თვალყური ადევნებია, იმას კარგად ეცოდინება, რომ მოხარქელული წყობილების მომხრეთა ჯგუფი ჩვენში ერთობ სუსტი და უმნიშვნელოა, მათი რიცხვი ისე მცირე და თითებზე ჩამოსათვლელია, რომ ისინი არავითარ სოციალურ ძალას არ წარმოადგენენ. სერიოზული ამ საკასზე არაფერი გაბედნეკნში გარდა იმისა, რომ ზოგიერთა ორგანოს თანამშრომლები და ზოგიერთი პარტიის წევრები კერძო დაპარაკის დროს რადაცა და ვიდაცა პრინცზე დაპარაკობდენ, თვით პრინცის სახელსაც კი ასახელებდენ და გერმანული სახელი გადაქართულებიათ. ითხიმეს ნაცვლად—იაკინთე. მე მგონია, ეს სურვილი აქედან იქნა ექსპორტათ გერმანიაში გაგზავნილი და შემდეგ დამზადებული სახით იქიდან იმპორტად დაგვიბრუნეს.

რადგან სიტუაციამ მოიტანა, არ შეიძლება პრინცის ზდაპრის გარშემო რამდენიმე ამბავი არ გაგიხსენო. როცა გენერალმა ფონ-დერ-ოსტენმა გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ მეორე ინახულა, ჩვენი დელეგაციის ამბავი და საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ მოხსენება გაუკეთა, დერ-ოსტენის სიტყვით, თურმე, იმპერატორს, ანუ კაიზერს, საქართველოს და მისი არსებობის შესახებ არაფერი სცოდნია გარდა იმისა, რომ მისოვის მის ბაბას, როცა იგი ექმსი თუ შვიდი წლისა ყოფილა, საქართველოს შესახებ რადაცა უამბნია, რომ მისი ბაბა რუსეთის იმპერატორის დაგეგრეგვინების დროს ჰეტროგრადში ყოფილა. ზეიმს სხვათა შორის, საქართველოს დელეგატებმა დასწრებია. როგორც ისტორიკოსებმა გამოიკვლიეს, საქართველოს კი არა, სამეგრელოს დელეგატი იქნებოდა და ამ დელეგატს არა ჩვეულებრივი სახსოვრის გვირგვინი სდგმია თავზე. კაიზერს უმწვილობისას საქართველოს შესახებ შესხიერებაში მხოლოდ ეს ჩარჩენია და ქართველი ერის შესახებ მხოლოდ ეს სცოდნია. როცა ფონ-დერ-ოსტენს შენიშნეს: „ეს ხომ სამბოლო არ არის იმისა, რომ ჩვენ შემდეგში პრინცი და გვისვენო“, მას სიცილით სთქვა: ეს რაგორ შეიძლებაო. შეუძლებელი ქვეყანაზე არაფერია და ამ ფაბულას სხვა სფეროშიც ჭეშმარიტია ნიადაგი მოპოვებული.

ამ ერთი წლის წინათ, გეგონებ, რეფერენდიუმის დაწყებამდე, ქართველი სამხედრო ტუვეების ბახაკი, რაგორც ეს ერთმა ქართველმა სამოქალაქო ტუვემ მაამბო, ვიდჰელმის მეუღლეს—კაიზერინს თავისი უმცროსი გაყით ოხიმეთი დაუთვალიერებია. მეფის ოჯახს თან ახლდა თურმე მორიგი გენერალი, იქვე ეოფილიყვნენ ზოგიერთი თავისუფალი ქართველები (!) სტუმრები სამხედრო ტუვეებს ურჩევდენ მოახალისეთა ლეგენდები შეედგინაო. სხვათა შორის, ჭვირდებოდენ ჯილდოთ საქართველოს განთავისუფლებას. ბოლოს სიტყვა ჩამოუთქვამს მორიგ გენერალს,—პრინც ადიუტანტს. მას იგივე ეთქვა, რაც უმეტესმა სტუმრებმა სთქვეს. სხვათა შორის, დაემატებინა: თქვენ სამშობლოს გაანთავისუფლებთ და შეუფედ პრინცზე მიეთითებია, ამას დაგისვამთო. როგორც იმავე სამეფო ტუვემ გადმოგვცა, ქართველ სამხედრო ტუვეებს დიდი უმადურობა გამოეცხადებინა, რისთვისაც ბერლინის სამხედრო მთავრობას „პროტესტანტების“ წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიეღო.

კლდის კერძეული

საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ

აკ. ჩხენკელისაგან მთავრობას ასეთი ტელეგრამა მიუღია:

„რუსეთის და გერმანიის შორის მოხდა ხელშეკრულობათა გაცვლა, რომლის ძალით ბევრი დამოუკიდებლობის ცნობა—უკვე მომ ხდარი ფაქტია. გილოცავთ. ეოველგვარი ჩაცდა, რომ ასეთივე ბედი სწვეოდა ჩვენს შეხობლებს, უსაოფოდ დარჩა“.

აკ. ჩხენკელის მზრუნველობას ჩვენს მეზობლებზე (სომხებზე და ადერბეიჯანზე ერთნაირად, თუ მარტო ერთზე?, რომ თავი დავანებოთ საგარეო მინისტრის ცნობა ფორმალურად არ ეთახმება ბრესტ-ლიტოვსკის დამატებით ხელშეკრულებას. იქ ნათქვამია, რუსეთი წინააღმდეგი არ არის, რომ გერმანიამ სცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა; მაშ, რუსეთის „ნეიტრალობითაც“ რომ დავკმაყოფილდეთ, თვით გერმანიამ ფორმალური დეკლარაციით უნდა გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებულობის ცნობა ჯერ ეს არ გამოცხადებულა. როგორც ამბობენ, გერმანიის დეკლარაციის გამოცხადება დაკავშირებულია სხვა პირობებთან..,

საქართველოს დროშა და სასახლე

მთავრობის მოამბეში, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ უკვე გამოქვეყნდა კანონი საქართველოს დროშის შესახებ:

„საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი **დროშა სამფეროვანი: წითელის (შვინდის ფერის) შავის და თეთრის ფერისაო**“.

ამ კანონზე ხელი უწერია 10 სექტემბრის თარიღით ეროვნულ საბჭოს თავჯდომარეს ნ. ჩხეიძეს და მთავრობის თავჯდომარეს ნ. ჟორდანიას.

საქართველოს პარლამენტის სასახლეზე კი ჯერ კიდევ არა სჩანს სამფეროვანი დროშა. იქ ძველი წითელი დროშა არის (ბოლო დროს ძალზე გახუნებულიყო და სწორედ დროშის კანონის მიღების დღეებში გამოცვალეს წითელი მატერია)

რატომ არ იღებს ზომებს პარლამენტის თავჯდომარე, რომ სახელმწიფო დარბაზის ზევით სახელმწიფო დროშა იყოს ამართული და არა „პარტიული“?

ჩვენი პარტიის თანამოაზრეთ

(გაზეთ „საქართველოს“ საპასუხოდ)

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტს მეუმართავს პარტიის ყველა, ყველა ორგანიზაციებისათვის საგანგებო ცირკულიარით, სადაც „ოფიციალურად“ განმარტებულია პარტიის გაყოფის ისტორია.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი თავისებურად ამახინჯებს ფაქტებს და ამით ცდილობს თავი იმართლოს პარტიის ფართო წრეთა წინაშე „გაყოფის“ საქმეში.

მთავარი კომიტეტი რასაკვირველია არ იხსენიებს იმ გარემოებას, რომ საპარლამენტო ფრაქციის რეორგანიზაციაზე არსებობდა რეზოლიუცია საგანგებო მცირე კონფერენციისა, და რომ 19 აგვისტოს კომიტეტის დადგენილება ის კენჭობია იყო პირდაპირ დარღვევა კონფერენციის აქტისა, რომელითაც რეორგანიზაცია ფრაქციასთან შეთანხმებით უნდა მომხდარიყო. მთავარი კომიტეტი რასაკვირველია არც იმ გარემოებას იხსენიებს, რომ ეს უკანონო დადგენილება, რომელიც ეკუთვნოდა კომიტეტის პლენუმის ერთ მესამედ (13 კაცს), იყო თავის დროზე განსაჩივრებული მთავარ კომიტეტის 7 წევრის მიერ, რომელნიც მოითხოვდენ სრული კონფერენციის მოწვევას რადგან ეხლოდ ახალ კონფერენციას შეეძლო ძველი კონფერენციის დადგენილების შეცვლა და ასეთი პარტიული კონფლიქტების მოგვარება. 7 აპელანტი ამასთანავე აფრთხილებდა მთავარ კომიტეტის პრეზიდიუმს, რომ 19 აგვისტოს დადგენილების შესახებ ფრაქციისა, ვერ აღსრულდებოდა კონფერენციამდის და უნდა შეჩერებულიყო. მთავარ კომიტეტის პრეზიდიუმმა არ იქონია მსჯელობა ამ საგანზე კომიტეტში, დასტოვა უყურადღებოდ 7 წევრის განცხადება და პირდაპირ მიახალა ს. კედიას ხელმოწერილი ქაღალდი ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს (ფრაქციის ორი წევრის გამოწვევის შესახებ). მთავარ კომიტეტის ცირკულიარის ავტორი სტუფის, როცა პარტიულ საკითხების პარლამენტში გადატანას ჩვენ გვაბრალებს. საშინაო საკითხების საგარეო, საპარტიოთაშორისო საგნად გახდომა ეს ბ-ნ სპირდონ კედიასი მისი სანჩოპანჩოების დიპლომატია იყო; ჩვენი ბრალი ის არის რომ ვანხილეთ მთავარ კომიტეტის მოქმედება უკანონო, როგორც პარტიულის, ისე პარლამენტის რეგლამენტის ძალით და ამით მოვხსენით კედიას ცირკულიარების გამოტანა პარლამენტის ტრიბუნაზე;

ამის შემდეგ მოხდა მთავარ კომიტეტის მეოთხედი ნაწილის, 10 წევრის დიქტატორული გარდაწყვეტილება ფრაქციის ორი წევრის (მათ შორის ერთი მთავარ კომიტეტის თავჯდომარის ამხანაგი) პარტიიდან (!) გამორიცხვის შესახებ... და ამას კი მოყვა 7 წევრის მიერ დამოუკიდებელ მთავარ კომიტეტის და ფრაქციის დაარსება..

რომელ პოლიტიკურ პარტიაში, ან და რომელ უბრალო საზოგადოებრივ ორგანიზაციაში უნდა ჩაითვალოს ნორმალურად ასეთი წესების დამკვიდრება: ინტრიგები, ჭორები, კენჭაობა, ეს არის ეროვნულ სახელმწიფოებრივი მუშაობა ბ-ნ ასათიანისა და მისი დონ-კიხოტების.

როცა მეოთხედი ათი წევრი კომიტეტისა, მათ შორის ისეთნი, რომელნიც მხოლოდ რევოლიუციის გამო „საზოგადო მოღვაწეების“ ყველა „კადრების“ და ყველა წლის „რატნიკების“ მობილიზაციის შემდეგ მოხვდნენ პოლიტიკურ ორგანიზაციაში,—როცა ასეთი ხალხი უწყვეტს პარტიიდან გამორიცხვას იმ ადამიანებს, რომელთაც პარტიული მიმართულება შეუქმნიათ როვოლუციამდისაც და ომამდისაც,—მაშინ ერთად ერთი ხსნა აყროლებულ ჭაობის მიტოვება არის და დამოუკიდებელი პარტიული ორგანიზაციის შექმნა.

ჩვენ ასეც მოვიქეცით: ჩვენ დავუთმეთ ძველი კომიტეტი, ძველი რედაქცია და ძველი მებელი ბ-ნ ასათიანის კომპანიას; მუდმივი იდეოლოგი პარტიის სასტიკი განწმენდისა ბ. გ. ქიქოძე მთავარ კომიტეტის თბილ კომპანიაში დარჩა: ალბად მისი პოლიტიკური ... ...

რევოლიუცია იყო თუ ანარქია?

„დიდი რევოლიუცია“, რუსეთის დიდი რევოლიუცია... ამ სიტყვებით ყური გამოგვიშვდეს, და ის კი არავის ახსოვს რა სთქვა ამიერ კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ხარლამოვმა რევოლიუციის პირველ დღეებში. ჩამოსვლისთანავე ხარლამოვი ეწვია ქალაქის სათათბიროს და განაცხადა, რომ თბილისის დეპუტატმა კ. ჩხეიძემ იხსნა პეტროგრადი ანარქიისაგან და ჩააგდო მოძრაობა რევოლიუციის კალაპოტშო.

იხსნა დროებით, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ანარქია გამეფდა და რევოლიუცია გაქრა. რად მოხდა ასე?

უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთში რევოლიუცია არ ყოფილა. კოკოშკინმა განაცხადა ვიბორების პროცესზე: კადეტების (კონსტიტუციონალ-დემოკრატების) პარტიიდან გამოვედი და შემიძლია თავისუფლათ ვილაპარაკო; კადეტებს რევოლიუცია ავი და მავნებელ მოვლენათ მიჩნდათ და სცდილობდნენ იმის თავიდან აცილებასო, ხოლო მე, როგორც ისტორიკოსი, ვაცხადებ, რომ ეს შემცდარი აზრია, მაგრამ არც რუსის ხალხს, არც რუსის იტელიგენციას და არც რუსის საზოგადოებას არა აქვს ნიში და უნარი რევოლიუციის შექმნისა და ვერც მოახდენსო. ეს სიტყვები გამართლდა.

მაგრამ... რა არის რევოლიუცია?

ინგლისის ნსწავლული ბეჯგოტი ამბობს, რომ ადამიანი უმეტესათ კონსერვატიულ განწყობილებას განიცდის, ძველ ტრადიციებს ზოგჯერ სიკვდილამდე ებღაუჭება. ქართული ანდაზაა შესანიშნავი: „შეუჩვეველ ლხინს შეჩვეული ჭირი სჯობიაო“. ამიტომ ყოველ ახალ იდეას საშინელი ბრძოლა სჭირდება, რომ ფეხი მოიკიდოს და გავრცელდეს.

აი რევოლიუცია ეს გახლავთ,— ბრძოლა ძველსა და ახალ იდეებს შორის, ძველსა და ახალ წესწყობილების დამცველთა შორის.

იყო თუ არა რუსეთში იდეების ბრძოლა?

ამის პასუხს მაშინ მივიღებთ თუ გამოვუძებნით იდეას რუსეთის იმპერიას და რუსეთის რევოლიუციას.

1903 წ. პეტერბურგში დაარსდა „Русское собраніе“, სადაც თავი მოიყარა ყველა გამოჩენილმა რუსეთის მწერლებმა და პოლიტიკურ მოღვაწეებმა ნაციონალური ბანაკიდან დიდი სუვორინის მეთაურობით. ამ კრებულმა ბევრი ქნა, მაგრამ რუსეთის იმპერიას იდეა ვერ გამოუძებნა. იქნება ეს იყო მიზეზი, რომ ვლ. სოლოვიოვმა იმავე წელიწადს დაჰკვნესა თავის ჩანგზე: „Шалъ третій Римъ, четвертому не бывать“

ევროპიულ იმპერიალიზმს თავის გამართლება შეუძლია. როცა საფრანგეთი, ინგლისი ან გერმანია ახალ კოლონიას იძენს, ის ამაყათ აცხადებს, რომ მას უცხო ქვეყანაში შეაქვს თავისი კონსტიტუცია, რომელმაც გამოსჭედა დიდებული იმპერიები, შეაქვს თავისუფლება აზროვნების, სინდისის და პიროვნების; მას მოაქვს თავისი მეცნიერება, ტექნიკა და ბუხგალტერია, რომლითაც შექმნეს ევროპის აუარებელი სიმდიდრე, და შეუძლია ახალი ქვეყნებიც გაამდიდროს. ევროპიელი უცხოეთში ეძებს ბუნების სიმდიდრეს მიწაში ჩაფლულს, თვითონაც მუშაობს, მკვიდრთაც ამუშავებს; თვითონაც მდიდრდება, მკვიდრთაც არგუნებს.

რუსეთს კი უცხოეთში შექონდა ჟანდარმერია და პროვოკაცია. ჩვენ ვიცით რუსეთის კოლონიური პოლიტიკა. საკმარისია მოვიგონოთ, საჩერქეზოს დაპყრობა. ჩერქეზების მოსახლეობა თითქმის სტავროპოლამდე უწევდა და ერთ მილიონი ხალხს შეადგენდენ. დღეს კი მათი რიცხვი 30—40 ათას არ აღემატება. რუსეთის მთავრობამ ნახევარი მილიონი ოსმალეთში გადაყარა, და ესეც არ იკმარა,—უკანასკნელი ტრანსპორტი ზღვაში დაღუპეს; დანარჩენი ამოსწყვიტეს, რომ მათი მიწა-წყალი, სამაგალითო ნოყიერი ნიადაგი დაეყოთ რუსეთიდან გადმოხვეწილი ავანტიურისტებისათვის.

იმპერიას და მონარქიას რუსეთში იდეია რომ არ ჰქონია, იმ ფაქტიდანაც გამოიკარავდა, რომ ამ იდეისათვის მებრძოლნი არ გამოჩდნენ,—უბადრუკი ნიკოლოზი მეორე ისე დაიჭირეს, როგორც ბავშვებმა იციან სოფელში ქათმის დაჭერა ღობე-ყორეში მიმწყვდევით. ერთი კაცი არ გამოჩნდა, რომ მისთვის თავი გამოეღვა; მონარქიისათვის ერთი კაცი არ განწირულა.

მაგრამ იქნება რევოლიუციას ქონდა იდეია? რუსეთის რევოლიუციის ლოზუნგები იყო: „Земля и воля“. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ „земля“-ს მაგრათ ლრიალებდნენ და „воля“-ს კი ნელის ხმით კონდრატანდათ გააპარებდნენ ხოლმე პირველ ხანებში. არც საკვირველია,— რუსეთის გამოჩენილი კრიტიკოსი ევგენი სოლოვიოვი ამბობს: ჩვენი ლიტერატურა დაბადებიდან თავისუფლების იდეას ემსახურებოდა, მაგრამ ევროპის თავისუფლება ჩვენ ვერ შევითვისეთ, რადგან ის წარმონაშობი იყო ევროპის მეცნიერებისაგან, ხოლო ევროპის მეცნიერება ჩვენ გვძულდა, და თუ ჩვენში მაინც შემოგვქონდა ცოტ-ცოტაობით, როგორც აუცილებელი ჭირიო. და თუ რუსეთის ინტელიგენციამ თავისუფლება ვერ შეითვისა, აბა რუსის მუჟიკი რა თავში იხლიდა.

დასასრული იქნება

ბარ. გამსახურდია

ფელეტონი

სოციალისტური რევოლუცია

გერმანიის რაიხსტაგის წევრის
ევგენი რიხტერის წიგნიდან.

თავი IV.

ხელობის არჩევა

კიოსკებზე დიდრონი წითელი განცხადებებია გამოკრული, ისე როგორც უწინ იცოდნენ ხოლმე ახლად ჯარში გასაწვევთა მიღების დროს.

კიოსკებთან ბლომად ხალხია შეკრებილი. ახალი კანონის ძალით ქალაქის გამგეობა მთავრობის განკარგულებით იწვევს ყველა სქესის პირთ 21 წლიდან 65 წლამდე—სამის დღის განმავლობაში აირჩიონ და განაცხადონ რა ხელობა სურთ. განცხადება მიიღება უწინდელ საპოლიციო ნაწილებსა და ქალაქის ბიუროებში. ქალებს, როგორც გათხოვილთ, ისე გასათხოვართ აუწყებენ, რომ სახელმწიფო სახელოსნოებში მუშაობის დაწყების დღიდან ისინი თავისუფალნი არიან ოჯახში შვილების მოვლისაგან, საჭმლის მზადებისა, ავადმყოფთა მოვლისა და რეცხვისაგან. ყველა ბავშვები სახელმწიფო თავშესაფრსა და აღმზრდელ დაწესებულებებში იქნებიან მოთავსებულნი. სადილობა სავალდებულოა უბნის სახელმწიფო სამზარეულოში. ავადმყოფები საზოგადო საავათმყოფოებში უნდა მოათავსონ. ს ცვლები გასარეცხად დიდ ცენტრალურ სამრეცხველოებში მიაქვთ. სამუშაო დრო ს ხელმწიფო სახელოსნოებში ყველა ხნოვანებისა და სქესისათვის ახალ განკარგულებამდე რვა საათია.

საჭიროა მოწმობის წარმოდგენა, რომ მოწმობის პატრონს არჩეულ ხელობის უნარი შესწევს. განცხადებაზე აღნიშნული უნდა იყოს უწინდელი ხელობა. განცხადება სასულიერო წოდების არჩევის შესახებ არ მიიღება, რადგან ერფურტის ყრილობის დადგენილებით, რომელიც სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძვლად ითვლება, საეკლესიო და სარწმუნოებრივ საქმეზე რაიმე ხარჯის გაწევა აკრძალულია. იმათ, ვინც მაინც მოისურვებს სასულიერო სამსახურს, ნება ეძლევათ ამისა მხოლოდ იმ რვა საათის მუშაობის შემდეგ, რა საქმისთვისაც ისინი სახელმწიფოს მიერ იქნებიან გამოსადეგად მიჩნეულნი.

ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ ქუჩებში ისეთი ამბავი იყო, როგორც სამაზრო ქალაქებშია ხოლმე ჯარის კაცთა მოწვევის დღეებში. ერთ გვარის ხელობისანი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, ფულზე თავიანთ ხელობის ნიშნები ჰქონდათ გაკეთებული და აღტაცებულის სიმღერით დადიოდნენ ქუჩებში. საოჯახო შრომისაგან განთავისუფლებულ ქალებს ბრწყინვალე სურათებათ ეხატებოდათ არჩეული ხელობის საამო შედეგები. ისმოდა, ბევრმა ახალი ხელობა აირჩიაო. ეტყობოდა, ზოგიერთს ეგონა, რომ რაიმე ხელობის არჩევა ამ დარგში ადგილის მიღებას უდრიდა.

მე, ჩემი შვილი ფრანცი და ჩემი რძალი აგნესა ყველანი ძველ, შეჩვეულ ხელობაზედვე ვრჩებით, ეს განვაცხადეთ კიდეც. ჩემმა ცოლმა გამდლის ხელობა აირჩია. იმას ჰგონია გამდლობა რომ აირჩია ისევე განაგრძობს დედობრივს მზრუნველობას ჩვენის ოთხის წლის ანუშკასადმი, რომელიც თავშესაფარში უნდა მივცეთ.

სასახლის წინ ქუჩებში მომხდარ უწესოების შემდეგ სამინისტრომ გადასწყვიტა ხელახლა დაწესოს 4000 კაცისაგან შემდგარი დამცველი რაზმი. ზოგ მათგანს არსენალში მოათავსებენ, ზოგს მის ახლო ყაზარმებში. წარსულის მოგონებათა ასაცილებლად ახალი რაზმი ცისფერის ნაცვლად მიხაკისფერ ტანსაცმელში იქნება გამოწყობილი და კასკების ნაცვლად წითელ ფრთიან რბილ ქუდებს დაიხურავენ.

(შემდეგი იქნება)

„რამეთუ შენ ხარ კლდე“

(სახარება მათესი. XVI. 18.)

დაქანცული მოციქულები ძლივს მიაბიჯებდნენ ფეხებს... მძაფრი ქარიშხალი სალმობის ზათქსა და ზარს აკვნესებდა ქვეყნად, საცა განუწყვეტელი წყვდიადი გამეფებულიყო... მრისხანებდა ზესკნელი, მეხსა და ცეცხლს აფრქვევდა ქვესკნელს, ძრწოდა და დრტვინავდა სამყარო...

გრიგალთა სახნისი ხნავდა ოკეანეს და მისივე ნიჩაბი ანიავებდა ფაფარ-აყრილ ზვირთებს... ცას წვერ მიბჯენილი სარო გულშემზარავად წივოდა, იმტვრეოდა, ილეწებოდა... მიწას ენართხებოდა ათასწლოვანი ვერხვი... ყველა და ყოველივე ქედს იხრიდა განგების წინაშე!..

უშიშრად მიდიოდა წინ მხოლოდ ის, დიდი მოძღვარი...

გზა მისი სპეტაკი იყო დანათელი!..

ჭექა-ქუხილის ხმა აყრუებდა არემარეს... ღმერთი რისხვისა ცეცხლის ხმლს ატრიალებდა ღრუბლებში და პირქუშ ბნელეთს წამით სინათლე ეფინებოდა...

ძრწის ყოველივე, მხოლოდ ის დგას შეუპოვრად!..—წუნარად ჩაილაპარაკა მოძღვარმა და ოდნავ გადახედა მის ახლოს მიმავალ მოციქულს!..

იელვა! აბობოქრებული ზღვა თავგანწირვით ეკვეთა კიდურზე ამოზიდულ კლდის კალთებს, თითქო სურდა მტვრად ექცია ძლიერი მეტოქე, მაგრამ ნამსხვრევებად ქცეული, სირცხვილეულული ჩაიმარხა თვისავე ნაპრალებში...

მოძღვარმა თვალი მიაშტერა ბუმბერაზ კლდის ძირში აყრილ ზღვის ლტოლვა-უკუქცევას და მტკიცეს კილოთი წარმოსთქვა:

— პეტრე „მე გეტყვი შენ: რამეთუ შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ეძლონ მას!..

— ამინ!—წამოიძახა სიმონ—პეტრემ. ესევე გაიმეორეს სხვებმა, სდუმდა მხოლოდ იუდა...

განდეგილი.

მილოვი და გ. ჟურული

18 სექტემბერს თბილისის ბირჟის კომიტეტს თავისი თავმჯდომარის ა. ნ. მილოვის პირით მიულოცნია გ. დ. ჟურულისათვის მინისტრად დანიშვნა.

გ. ჟურული უკვე მეხუთე თვეა, რაც მინისტრობს, და აქამდის სად იყვნენ მილოვები?

მილოვს და მის ბირჟევიკებს აქამდის არ მოსვლიათ თავში საქართველოს სახელმწიფოდ გამოცხადება მოელოცნათ.

ახლა გ. ჟურულს ულოცავენ. რაშია საქმე?

ნუ თუ პატივცემულ მილოვის კომპანია ისეთი მოახგარიშე ხალხია დიპლომატიაში, რომ როცა გაიგეს, გერმანია და რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობენო, გარდაწყვიტეს ერთი პოროცია მილოცვისა უწყალობონ საქართველოს და—ერთ მინისტრს მიულოცეს.

მთელს მთავრობას ალბად მაშინ მიულოცვენ, როცა ჩვენს დამოუკიდებლობას ინგლისი აღიარებს.

მაგრამ სომხური დიპლომატია ის არის, რომ პირველი პორცია მილოცვისას იმ მინისტრს არგუნეს, რომლის პორტფელი დღეს ისეთს კრიტიკულ მდგომარეობაშია, რომ შეიძლება გ. ჟურულს მარტო იმ მეორე ჯამაგირით მოუხდეს დაკმაყოფილება, რომელიც შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარეობისათვის ეძლევა.

ან და შეიძლება აქ მილოვის დიპლომატიასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ თვით ბ-ნ ჟურულის დიპლომატიასთან.

შეიძლება თბილისის სომხურ „ბირს ჟევიკების“ დეპუტაცია ზევიდან შეკვეთილი დემონსტრაცია იყო გ. ჟურულისა მინისტრო „ორი სკამის“ გასამგრებლად?

ამ შემთხვევაში „მოკინგი“ მარტო ის არის, რომ ბ. გ. ჟურულის ნეობრივი პოზიციების გამაგრება ისეთ სისხლის სამართლიან მოღვაწეებს უხდებათ, რომელიც არის მილოვი!

ქრონიკა

უცხოეთი

✦ ან მეფე ან ზავი. საფრანგეთში ამ ჟამად თვალსაჩინოდ ძლიერდება მონარქიული მოძრაობა, უმთავრესად სამხედრო წრეებში. როგორც ბერლინის გაზეთი „Der tag“ სწერს, ორში ერთი გზა უნდა აირჩიოს საფრანგეთმა, ან ზავი ჩამოაგდოს და ამით მოსპოს სამხედრო კლასის ძლიერება და გავლენა ან და ომი გაგრძელდება და ეს სამხედრო კლასი ჩამოაგდებს პუანკარესაც, კლემანსოსაც და დასვამს „პრეზიდენტად“ ფილიპე VII. ასე მართლდება სოციალისტ მარსელ სამბას წიგნი, დაწერილი ომის წინა დღეებში, რომლის სათაური სწორედ ასე იყო: „Hn roi ou la paix“!..

✦ ბოლგარეთი და შავი ზღვა. რადოსლავოვის პარტიის ორგანო წინააღმდეგია, რომ მთელი შავი ზღვის ფლოტი უკრაინამ ჩაიგდოს ხელში—მაშინ ის იქნება ბატონი შავი ზღვისა; ბულგარეთი იმის მომხრეა, რომ შავი-ზღვის პირ ყველა სახელმწიფოებს ერთ ნაირი თავისუფლება ჰქონდეთ ზღვაზეო.

✦ გერმანია და ოსმალეთი. ოსმალეთი მეჯლისის—არაბეთის ცნობილ დეპუტატს უთქვამს, რომ გერმანიასა და ოსმალეთს შორის კავკასიის საკითხის გამო პატარა ბრძოლა სწარმოებს—თუმცა, ამ ბრძოლას არავითარი საშიში ხასიათი არა აქვსო, რადგან გერმანია ემხრობა იმ აზრს, რომ ოსმალეთის დამოკიდებულება კავკასიის მუსულმანებისადმი ისეთივე უნდა იყოს, როგორც გერმანიის დამოკიდებულებაა ბალტიის მცხოვრებლებისადმი. ამავე დროს ოსმალეთიც არა ჯიუტობს და ამბობს, რომ გერმანია დაინტერესებულია საქართველოს ბედ-იღბლითაო.

✦ ოსმალეთის სესხი გერმანიაში: ეს ეს არის გერმანიას ხელი მოუწერია ოსმალეთისათვის ორ ნახევარ მილიარდის სესხზე. ამ ექვს თვეში ოსმალეთი მიიღებს უპროცენტოთ 450 მილიონს.

✦ ოსმალეთი და ადერბეიჯანი. სტამბოლის ერთ გაზეთში უსვინ ზადე ალიბეის წერილია მოთავსებული, რომელშიაც ანატოლიისა და ადერბეიჯანის დამოკიდებულების განხილვაა. ეს ორი მხარეო, ნათქვამია გაზ თში, ერთი მეორესთან დაახლოვებით ბევრს მოიგებს, მით უმეტეს, რომ ამ მხარეთა მცხოვრებთ, მიუხედავათ პატარა განსხვავებისა, კარგად ესმით ერთი მეორის ენაო. მეორე მხრით ამ ორი მხარის ხალხის ხასიათი ერთი მეორის დამატებაა. ადერბეჯანელმა გლეხმა, რომელიც დიდი ხანი იყო რუსეთს გავლენის ქვეშ, დაჰკარგა მხედრული მიდრეკილება და უფრო ვაჭრობას დაეწაფა, ანატოლიის გლეხს კი ჯერ ისევ შენარჩუნებული აქვს ეს მხედრული სული და ამიტომ ამ ორ სხვა და სხვა აგებულების შეერთება და შეთანხმება მშვენიერ ნაყოფს გამოიღებს. თუ დღეს ანატოლია სისხლსა ღვრის ადერბეიჯანის განთავისუფლებისათვის, ხვალ ადერბეიჯანი ანატოლიას გაღატაკებისაგან იხსნის.

✦ გერმანელი პრინცი ეირიმში. ყირიმში ამ ჟამად იმყოფება ბავარიის პრინცი კონრადი თავისი კავალერიის პოლკით პრინცი კონდრადი ერთ ერთი კანდიდატი გამანია პოლონეთის ტახტზე.

ამის წინად სევასტოპოლში ხმა გავრცელდა, რომ პრინცი კონრადი თავის კავალერიის პოლკთან ერთად საქართველოში მოდისო.

საქართველო

✦ ოსმალეთის ელჩმა საქართველოში, აბდულ კერიმ ფაშამ განაცხადა: „მე მაქვს განსაკუთრებული მისია, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ოსმალეთსა და საქართველოს შორის რაც შეიძლება მალე დამყარდეს კეთილ-მეზობლური განწყობილება. მე ქართველების და საქართველოს მეგობრად ვთვლი ჩემს თავს, და არავითარ შრომას არ დავზოგავ, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ ამ მიზანს მივაღწიო“.

✦ ადერბეიჯანის პროტესტი. თათრების ელჩმა მამედ ჯაფაროვმა ბაქოს აღების შემდეგ დიპლომატიური პროტესტი გაუგზავნა საქართველოს მთავრობას, თბილისის გაზეთები (მაგალითად „Нарьба“) შეურაცყოფას აყენებს ადერბეიჯანის მთავრობას და ჯარს, და ითხოვა საერთაშორისო სამართალის ძალით თავისი სახელმწიფოს უფლების დაცვა.

✦ ოფიცერთა სამართალში მიცემა. საარმიო არტილერიის ბრიგადის 1 დივიზიონის ოფიცრებს სამხედრო მინისტრმა სამდურავი გამოუცხადა და ბრძანება გასცა მათ სამართალში მიცემის შესახებ—რადგან მათ დივიზიონის უფროსის დაუკითხავად საზოგადო კრება გამართეს და სამხედრო კანონი დაარღვიეს.

✦ ეროვნულ საბჭოს წევრთა ახლო მდგომ პირთა წრეებში ლაპარაკობენ, რომ ამ დღეებში მოემატებათ ჯამაგირი ეროვნულ საბჭოს წევრებს.

✦ თავად-აზნაურობის საერთო ქონება. საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: 1) თფილისის და ქუთაისის გუბერნიების ყოფილ თავად-აზნაურთა წოდების უძრავი და მოძრავი ქონება მიღებულ იქნას საქართველოს სახელმწიფო საკუთრებათ: 2) მიღებულ იქნას საქართველოს საკუთრებათ აგრეთვე, ყოფილი [illegible] მოწმეფთა დამხმარე [illegible] თავად-აზნაურთა საზოგადოების მთელი ქონება; 3) ამ ქონებათა მართვა-გამგეობის წესრიგის შესამუშავებლად არჩეულ იქნას კომისია მიწათმოქედების, გზათა, სახალხო განათლების და ფინანსთა მინისტრებისაგან.

— სოფლის მეურნეობის კრიზისი.

დღეს მატყლის რთვასა და ქსოვას მთელმა საქართველომ მიჰყო ხელი. ხონში, შორაპანში, ჭიათურაში მშვენიერი მატყლის ქსოვილები გამოაქვთ ბაზარზე. სამწუხაროდ, ამ საქმეს წინ ეღობება რკინის გზაზე გამეფებული ანარქია. ზემოიმერეთის, ს. ცხრუკვეთის კოოპერატორებმა იყიდეს დუშეთის მაზრაში 40.000 მახეთის მატყლი და ჩამოიტანეს მცხეთის სადგურზე, მაგრამ სადგურის უფროსი ვაგონს არ აძლევს. ვაგონების მიღება ადვილია. „კომერსანტებისათვის“ და სპეკულიანტებისათვის, რომელნიც სხვა და სხვა ხერხით ეზიდებიან საზღვარ-გარეთ ჩვენს სიმდიდრეს, თუნდაც იმავე მატყლს; ჩვენი სოფლის მრეწველობისთვის კი ერთი ვაგონიც კი ძნელი საშოვნელი ყოფილა.

✦ რკინის გზათა უფროსის გადადგომა. საქართველოს რკინის გზების უფროსმა ინჟ. ა. გ. კანდელაკმა ქალაქი შეიტანა სამინისტროში, რომ მას 1 თვე მიეცეს ვადა ახალ სამსახურის მოსაძებნათ.

✦ რუსის მიტროპოლიტი პლატონი, როგორც რუსეთის გაზეთები იტყობინებიან, თბილისიდან ნოვოროსიისკში აპირობს გადასახლებას.

✦ სოხუმელ სომხებმა საქართველოს ქვეშევრდომობის მიღება დაიგვიანეს.

✦ ნიკო მარი, ჩვენი ცნობილი თანამემამულე აკადემიკოსი მოსკოვის ბოლშევიკების სამსახურში შესულა, სომხურ (ლაზარევის) ინსტიტუტის მოსაწყობად ახალ ყაიდაზე.

✦ რკინის გზის მუშებს გერმანელებთან კონფლიქტი მოსვლიათ ფოთში. მუშები გაფიცვას დამუქრებულან.

✦ ქართველ სტუდენტთა ერთი ნაწილი გერმანიის სამხედრო უმაღლეს სასწავლებელში მიემგზავრება.

✦ კერძო მამულების ჩამორთმევის კანონი იხილდება ამ ჟამად სამინისტროებში. ახალი წესით კერძო უძრავ ქონების ჩამორთმევა სახელმწიფო საჭიროებისათვის ძალიან გაადვილებულია.

✦ ტყეების კონფისკაცია, მიწის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას კანონი ტყეების შესახებ. ამ კანონით ყველა კერძო მესაკუთრეთა ტყეები 1917 წ. 16 დეკემბრიდან სახელმწიფო ქონებად ითვლებიან, რაც რომ კერძო ტყეებზე ბანკების ვალი არის სახელმწიფო კისრულობს.

✦ ნაოსნობა რიონზე. გზათა სამინისტრო ზომებს ღებულობს, რათა მდ. რიონზედ და მის შტოებზე მოაწყოს ნაოსნობა. ამ მიზნით არსდება საქციონერო საზოგადოება. მთავრობა შეუერთდება ამ საზოგადოებას თავის განკარგულებაში მყოფ მდინარის ხომალდებით.

✦ ანანოგის მამულში, გერმანიის ჯარი ჩამდგარა. მათი სიტყვით ისინი იცავენ მამულს განადგურებისაგან.

✦ დავა მიწებზე. ცენტრალური საადგილ-მამულო გამგეობა ატყობინებს ქუთაისის საგუბერნიო საადგილ-მამულო გამგეობას, რომ გარდა იმისა, რომ მიწის მუშებს ხვეულათ ღალა ჩამორთმეული მიწებზე ძეათედის სახით, ღალა უნდა შეიკრიბოს აგრეთვე იმ ადგილებიდან, რომლებიც ჩამორთმეული არ არის კომისიებისაგან, მაგრამ ნორმაზე მეტი კი არის. რომელი მემამულეც განკარგულებას არ დაემორჩილება, იგი პასუხისგებაში იქნება მიცემული.

✦ აქციზი ღვინოზე. ფინანსთა სამინისტრომ დაადგინა დაიბეჭოს ღვინო აქციზით არამც თუ ქალაქებში, არამედ ყველგან, სადაც მისი წარმოებაა.

✦ საქველმოქმედო საზოგადოებამ შეიძინა 400 ფუთი ხორბალი თითო ფუთი 15 თუმნად. ამ ხორბალს დაფქვავს საზოგადოება და ნაკლებ ფასებში დაუთმობს პურს თფილისში მყოფ ქართველ ლტოლვილებს.

✦ ისტორიული განძის გატანება. იმერეთში გაუძარცვავთ ივანე ნათლისმცემლის ეკლესია, წაუღიათ ვერცხლის ბარძიმი და სხვა ნივთები, რომელნიც მნიშვნელოვან ისტორიულ განძს წარმოადგენდენ. ეს ნივთები მეფე სოლომონის დროს შეუწირავს მარიამ დედოფალს გოგნის უდაბნოს მონასტრისთვის და ამ მონასტრიდან აღნიშნულ ეკლესიაში იყო გადმოტანილი. გამოძიება სწარმოებს, მაგრამ შედეგები არა სჩანს.

✦ სამეურნეო იარაღის ქარხანა. ტუაპსეში რომ თუჯისა და რკინეულობის ქარხანა არის, მისი პატრონი, ბ. ზაალ მარათაშვილი მთავრობას წინადადებას აძლევს, რაც საქართველოსათვის სამეურნეო იარაღებია საჭირო თავის ქარხანაში დაამზადოს.

✦ გერმანელები რაჭაში. გერმანული ჯარები ჩადგნენ რაჭის შემდეგ პუნქტებში: დ. ჭრებალოში 50 ჯარის-კაცი; ს. სადმელში 50 ჯ.-კ.; წესში — 50 ჯ.-კ, და ონში 200 ჯარის-კაცი. ონშივე იქნება შტაბი ჯარებისა. ამ ჯარების დანიშნულებაა, დაიცვან გზა ოსეთის სამხედრო და მამისონის გადასავალი.

✦ რაჭველთა კადმოსახლება. თბილისში ქართველთა ერთს ჯგუფს განუზრახავს დაარსონ კომიტეტი, რომელიც უხელმძღვანელებს გლეხების გადასახლებას თავისუფალ მიწაზე.

✦ სანუთის ოქრო. ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროში შემოვიდა-წერილობითი მოხსენება ჯანსუყ დადეშქელიანისა, რომელსაც მოჰყავს ძველ ბსწავლულ ავტორის, სტრაბონის, პლინის აზრი სვანეთში ოქროს დამუშავების შესახებ და იტალიის მწერლის არქანჯელო ლამბერტის აზრი, რომ იქ მრავალი მადნები იყო ოქრო-ვერცხლისა და ეხლაც ამოიღებენება სვანეთში ესეთი მადნები. სამინისტრომ დადეშქელიანის განცხადება გადასცა სამთო გამგეობის რწმუნებულს ინჟ. ი. ა. ყიფშიძეს.

საკუთარ კორესპონდენტებისაგან

✦ ახალი-სენაკი, აქაურმა სამხედრო საველე სასამართლომ სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტა ბოლშევიკთა მეთაურებს სამეგრელოში ოჩიგავას და ქაჯაიას, მაგრამ ამობლეგმა მოასწრეს თხოვნის შეტანა ახლად გახსნილ სამაზრო საერობო ყრილობაში: ერობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე სასჯელის შემსუბუქებაზე. სასჯელის აღსრულება გადიდო გუხერ. ი. გედევანიშვილის განკარგულებით, მთავრობიდან პასუხის მიღებამდე.

✦ იავე საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით 15 ენკენისთვეს დილით დახვრიტეს ჩხეტიანი, რომელსაც ბრალდებოდა დადიანკელიანის მკვლელობაში ბოროტმოქმედების ბიღება.

✦ სასწავლებლებში გამოცდები დასრულდა. ექსკურსიობა დაიწყება 1 ოქტომბერს გახანგრძლილია ქირის მომატება.

✦ ადგილობრივი ფოსტის წერილის დაბეჭდილნი ძალიან უყურადღებოდ ეპყრობიან ფოსტის კორესპონდენციის დატარებას.

ბეჭდური პირი ჩვენისა.

სასურსათო განყოფილების გამგე, ქალ. გიორგობის ნევრი ა. მინასაროვი გერმანიის საომპერატორო მისიაში მიიწვიეს, სადაც სამეურნეო ნაწილის გამგემ დოქტ. პფაფა მას გახუცხადა: გერმანიის მისიის უფროსმა ფონ-კრესმა ნება დართო ტფილისს და საქართველოს სხვა ქალაქებს გადასცენ ხორბალი, უკრაინიდან რომ ბოელიან და მის ნაცვლად გაიტანონ თაბაკო. ამ ჟამად ფოთში გასაგზავნად იტვირთება უკრაინაში ნაყიდი 140 ათასი ფუთი ხორბალი: ამისათვის გერმანიამ 3 ძილ. კრედიტი გახსნა. ასეთი რაოდენობის ხორბალი ჩამოვა ფოთში ყოველ 3—4 კვირაში ერთხელ და მის შეტანაფერის ფასკულობის თამბაქოს გაიტანენ ხორბლის ნაცვლად. პირველი პარტია ხორბლისა თბილისს მიეცემა. ხორბალი მოტანით ჯდება ფუთი 30—35 მ. ამ დროისთვის სასურსათო განყოფილებამ ეკრი უნდა დააზადოს ხორბალში გადასარევად და ფისკვილები პურის დასაფქვესლად. პურის ფესიერად გასანაწილებლად სასურსათო განყოფილებაში იქნება გერმანიის მისიის ნარმომადგენელი პური მიეცემათ მცხოვრებლებს მანეთ ნახევრად გიორგანქა.

ქართველი ლეგიონერები.

(სამხედრო მინისტრის ბრძანება).

„ღრმა კმაყოფილების გრძნობით მივესალმე პარადზე გერმანიიდგან მოსულს ქართველს ლეგიონერებს. ბევი ვაჟკაცური გმოხედულობა, აწყობრი სამაგალითო დისციპლინა, საბჭოდრო აღზრდილობა გერმანელთა ჯარების მსგავსად ბევლ ევს სრულს საფუძველს დარწმუნებული ვიყვე, რომ ვაჟკაცი ლეგიონერები იენებიან საბჭოთა ამსრულებლობის საბჭო